



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

სოციალური მეცნიერებები,
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 26 ოქტომბერი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12 დეკემბერი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	26
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	31
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	40

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარტინ დალი, ლაზარსკის უნივერსიტეტი (ვარშავა, პოლონეთი)
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ივანა მაჩიტძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვახტანგ კეკოშვილი, ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიძიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სოციალური მეცნიერებები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Social Sciences
უმაღლესი განათლების საფეხური	VIII, სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული ³
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ⁴	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	30 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული, №22216, 14.01.2022

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³ უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა თვითშეფასების ანგარიშში ტექნიკური ხარვეზის შესახებ. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში პროგრამული კოდი იყო შემდეგი: 0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას და ინფორმაციის მართვას, ნაცვლად 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული (სწორი ვერსია)

⁴(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

<p>პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)</p>	<p>-</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁵

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა 2012 წლიდან მიმდინარეობს. პირობითი აკრედიტაციის შემდეგ სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა ორჯერ შეიცვალა. პირველი ცვლილების დროს, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივნისის No01- 05- 04/80 დადგენილებით, პროგრამას დაემატა ხელმძღვანელი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი კარლო კოპალიანი. მეორე მოდიფიკაციის დროს, გასწორდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. ცვლილებამდე, პროგრამაზე სწავლის უფლება ჰქონდა პირს, რომელსაც გააჩნდა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური კვალიფიკაცია (სწავლის სფეროს კლასიფიკატორის ფართო სფერო: 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია). მოდიფიკაციის შემდეგ, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური კვალიფიკაციის მქონე პირს უფლება აქვს ისწავლოს პროგრამაზე (სწავლის სფეროს კლასიფიკატორის ფართო სფერო: 01 განათლება; 02 ხელოვნება; ჰუმანიტარული მეცნიერებები; 03 სოციალური მეცნიერებები; ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამას აქვს ძლიერი კვლევითი მიმართულება. სტუდენტებს ურჩევენ ჩაატარონ ორიგინალური კვლევა და ამით სფეროში წვილი შეიტანონ. პროგრამა ჩვეულებრივ მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომლებიც სოციალური მეცნიერებების დარგს უკავშირდება. ეს კურსები დოქტორანტებს აძლევს კვლევის საფუძველს და ეხმარება მათ ცოდნის გაღრმავებაში მოცემულ თემაზე. პროგრამის ცენტრალური ელემენტია სადოქტორო დისერტაციის დაწერა და დაცვა. სტუდენტებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ, შეასრულონ და დაიცვან ორიგინალური კვლევითი პროექტი, რომელიც დარგში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ეს არის მრავალწლიანი ძალისხმევა და მთავარი მოთხოვნა დოქტორის წოდების მისაღებად. სტუ-ში სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა იძლევა

⁵ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დისციპლინათაშორის კვლევებს, რაც სხვადასხვა სფეროს ცოდნის გაერთიანების საშუალებას იძლევა რთული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2023 წლის 26 ოქტომბერს. ის დაიწყო თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებებით. ამას მოჰყვა შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ასევე მოეწყო ბიბლიოთეკის, სალექციო ოთახებისა და სხვა ობიექტების დათვალიერება. შეხვედრებისა და საუბრების შედეგად გასაგები გახდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებებათა სადოქტორო პროგრამის სპეციფიკა. შეხვედრებმა მეგობრულ და ღია ატმოსფეროში ჩაიარა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა პროგრამის დისციპლინათაშორის ხასიათს. შეხვედრებმა ლექციების წამყვან პერსონალთან და სადოქტორო პროგრამის სხვა თანამშრომლებთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ცხადყო უნივერსიტეტთან დაკავშირებული ადამიანების მაღალი ჩართულობა. როგორც პროგრამის სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტთან მჭიდრო კავშირს და კვლევების დიდ სარგებელს მათ პროფესიულ საქმიანობაში. ზემოაღნიშნული პოზიცია ასევე დადასტურდა გარე პირებთან შეხვედრისას, სადაც ბევრი დამსწრე ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო. აღინიშნა საერთაშორისო სტრატეგიაც არსებული პარტნიორობის გათვალისწინებით. ადგილზე ვიზიტის დროს ასევე აღინიშნა მჭიდრო თანამშრომლობა თვითშეფასების გუნდსა და თვითშეფასების ჯგუფს შორის, რომელთაგან უკანასკნელი ძირითადად აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან არის დაკომპლექტებული. ამ დამატებითმა ინფორმაციამ დაადასტურა ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობა კოლეგებს შორის.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- შეფასების პირველი ეტაპი იყო უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი დოკუმენტებისა და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია კარგად იყო მომზადებული და მოგვცა იმის თქმის საშუალება, რომ სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა აკმაყოფილებს ამ ტიპის პროგრამის სწავლების მოქმედ სტანდარტებს.
- თუმცა, გასაუბრებების დროს ჩატარებულმა დისკუსიებმა დაამატა საჭირო ინფორმაცია, რამაც პროგრამის ძირითადი დამატებითი ღირებულების შეფასების საშუალება მოგვცა.
- ყველა დოკუმენტის გაანალიზების, ყველა შეხვედრაში მონაწილეობისა და დაწესებულების მონახულების შემდეგ, დადასტურდა, რომ პროგრამა ზოგადად გვთავაზობს ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც კანდიდატებს სჭირდებათ ინფორმაციისთვის და თეორიული და პრაქტიკული მომზადებისთვის. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია აკადემიურ პროგრამებზე, სასწავლო დატვირთვაზე და სასწავლო კურსების მიზანზე, სწავლება-სწავლის მეთოდებზე, ლიტერატურაზე, შეფასებაზე და

სასწავლო კალენდარზე. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები სათანადოდ არის განსაზღვრული.

- ექსპერტთა ჯგუფს საკმაოდ დადებითი საერთო შთაბეჭდილება შეექმნა მონახულეზულ დაწესებულებაზე და შეაფასა პროგრამა შინაარსის, განმარტების დონისა და სტრუქტურის, ასევე აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების გათვალისწინებით.
- სწავლების რესურსები ზოგადად ადაპტირებულია პროგრამის მიზნებსა და მომავალ განვითარებაზე.
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან არის შემდეგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 1.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.4. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 2.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 3.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 4.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 5.1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5.3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
 - რეკომენდებულია, განხორციელებული პროგრამის ინტერდისციპლინურობის შეზღუდვა.
 - რეკომენდებულია, ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავება, რომელიც გაუადვილებს დოქტორანტებს საერთაშორისო პროექტებისა და კვლევითი გრანტების მოპოვებას.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
 - დარწმუნდით, რომ სასწავლო გეგმის რუკაში პროგრამის ყველა სწავლის შედეგი ვითარდება სამ დონეზე.
 - სასურველია შიდა გრანტების სისტემის შექმნა, რაც დოქტორანტებს გაუადვილებს კვლევის ჩატარებას და სათანადო დაფინანსების მოპოვებას.
 - დოქტორანტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასურველია გაიზარდოს მათი საერთაშორისო მობილობა, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა თუ სასარგებლო ღონისძიებაში;
 - სასურველია დოქტორანტებთან ინტენსიური საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა და ჩატარება;
 - დოქტორანტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასურველია მოეწყოს შეხვედრები დაცული დისერტაციის ავტორებთან მათი სადისერტაციო თემის ირგვლივ, რათა ამ უკანასკნელებმა გაუზიარონ გამოცდილება;
 - სასურველია დოქტორანტების ინტერნაციონალიზაციის გააქტიურება: ერთის მხრივ, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, მეორე მხრივ, სამეცნიერო პროდუქტიულობის მიმართულებით.
 - სასურველია დისერტაციის დაცვის პროცედურა იყოს რთული, რადგან დაცული ნაშრომების დიდი რაოდენობა პროცესის ლოიალობაზე მიუთითებს.
 - ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აკადემიურმა პერსონალმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გამოქვეყნებებს საერთაშორისოდ აღიარებულ რეცენზირებად ჟურნალებში, რაც ასევე მოითხოვს ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნას.
 - ექსპერტთა გუნდი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის სიხშირისა და მოცულობის გაზრდა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროფილის გააქტიურება ხელს შეუწყობს სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ხარისხსა და გამორჩეულ კვლევით პროფილს.
 - კვლევითი საქმიანობის წინა პლანზე წამოწევა აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების სამეცნიერო განვითარების გზით გააუმჯობესებს პროგრამის კონკურენტუნარიანობას და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას.
 - გააგრძელეთ პროგრამის პერსონალის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოთ მათი სრული ჩართულობა, გააღრმავეთ მათი ცოდნა და უნარების დონე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შესახებ და, საერთოდ, გაზარდეთ ხარისხის კულტურა.
 - გააღრმავეთ პროგრამის ანალიზი გარე შეფასებისას.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁶**

⁶ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

პასუხი პირველ რეკომენდაციაზე: ინტერდისციპლინურობა. ვფიქრობთ, რომ ფაკულტეტი მკაფიოდ ვერ აღიქვამს "ინტერდისციპლინურობის" ტერმინს. ჩვენ ვითხოვთ მეტ დაზუსტებას და ეტიმოლოგიური განმარტების გარდა ვითხოვთ უფრო ეპისტემოლოგიურ განმარტებას, რაც ყველა შესაძლო მეთოდოლოგიური, ტექნიკური, თემატური, ინსტრუმენტული თუ კონტექსტუალური მიდგომების დაფიქსირებას გულისხმობს. გთხოვთ, მოკლედ აგვიხსნათ, როგორ განახორციელებთ ინტერდისციპლინურ კვლევით პროექტებს? ამრიგად, თუკი უკვე წარდგენილია წარმატებული პროექტები, გთხოვთ, გაგვიზიაროთ ისინი.

უნივერსიტეტის პოზიციის საწინააღმდეგო არგუმენტია ის, რომ „ინტერდისციპლინური“ პროექტების განსახორციელებლად უნივერსიტეტს არ გააჩნია საკმარისი ადმინისტრაციული პერსონალის რესურსი. უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობით საერთაშორისო პროექტების ნაკლებობა, შეზღუდული საგამომცემლო ცოდნისა და უნარების და უკვე დაცული დისერტაციების უჩვეულოდ დიდი რაოდენობა და დაბალი ხარისხი, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ „ინტერდისციპლინურობა“ დამატებით სირთულეებს შექმნის და სფეროები, რომელთა მიღწევაც არის ფაკულტეტის მიზანი, რთული ან შეუძლებელი იქნება.

ჩვენი რეკომენდაციაა - ზუსტი დისციპლინური საზღვრების შექმნა და სტუდენტების უზრუნველყოფა მკაფიო ან შემოსაზღვრული დისციპლინური ცოდნითა და გამოცდილებით. მხოლოდ ამ მიდგომით იქნება შესაძლებელი ფაკულტეტის მიზნების მიღწევა და გარკვეული დროის შემდეგ ინტერდისციპლინური თუ დისციპლინათაშორისი პროექტების განხორციელება. თუ ტერმინი "ინტერდისციპლინური" თქვენც ისე გესმით, როგორც ჩვენ გვესმის, მაშინ ასეა.

პასუხი მეორე რეკომენდაციაზე: კვლევითი გრანტები. ღირებული სამეცნიერო ნაშრომის შესაქმნელად თქვენ გჭირდებათ ორი სახის რესურსი. პირველი - ადამიანური და მეორე - მატერიალური. სოციალურ მეცნიერებებში წარმატების ფორმულა ასე გამოიყურება: ადამიანურ რესურსებს მოაქვთ მატერიალური რესურსები, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ - პერსონალის პროფესორებს მოაქვთ კვლევითი პროექტები ან ცოდნა, თუ როგორ უნდა წარადგინონ საგრანტო წინადადება და ბოლოში სტუდენტი იღებს ფულს. სოციალურ მეცნიერებებში სამეცნიერო წარმოება, სხვა მეცნიერებებთან შედარებით, საკმაოდ ძვირი და რთულია. ამიტომ, ნაცვლად დამატებითი ერთეულის შექმნისა (გრანტის მომძიებელი ერთეულისა, რაც კარგი ნაბიჯია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ უკვე გაქვთ ერთგვარი საერთაშორისო ოფისი, რომელიც აზიარებს უამრავ კვლევით გაცვლის და კვლევის საგრანტო შესაძლებლობებს უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტით), ჩვენ რეკომენდაციას გაძლევთ, მოიწვიოთ რამდენიმე გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომლებიც მოიტანენ მნიშვნელოვან პრაქტიკულ ცოდნას და ძველი და გამოცდილი კადრებით შეძლებენ შექმნან თეორია-პრაქტიკაზე დაფუძნებული ფაკულტეტი, რომელსაც ექნება ახალი და ღირებული დისციპლინური/ან ინტერდისციპლინური სახის ცოდნის გამომუშავების შესაძლებლობა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და რეალისტურად მიღწევადია. ისინი ითვალისწინებენ სადოქტორო პროგრამის და სწავლის სფეროს - სოციალურ მეცნიერებათა - სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას. უფრო მეტიც, ისინი საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს მიაღწიონ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ ხელს უწყობს დარგის განვითარებას მეცნიერული კვლევების გზით. თუმცა, სწავლის დროს შეძენილი კომპეტენციები შემდეგ გამოიყენება პრაქტიკულ ცხოვრებაში, როგორც ბიზნესის, ისე სამთავრობო დონეზე, რაც ხაზს უსვამს პროგრამის წვლილს მთლიანად საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას ადგილობრივი, ეროვნული და, მცირე ზომით, საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დონე მიღწეულია აკადემიურ კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით, მაგ. გერმანულ ცენტრთან. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	√	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალურ მეცნიერებებთან სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს; აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. განათლების მიღებული კონცეფცია გულისხმობს მჭიდრო კავშირს თანამედროვე სამეცნიერო ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის სფეროს შორის, რაც აისახება განათლების შინაარსსა და აკადემიური პერსონალის მიღწევებსა და კომპეტენციებში. იგი ასევე მიუთითებს შიდა დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებაზე - პროგრამის ფარგლებში სპეციალობებისა და არჩევითი კურსების არჩევის შესაძლებლობით. ძირითადი სპეციალობის სწავლის შედეგები აღწერილია მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. ისინი შეესაბამება განათლების კონცეფციას და მიზნებს და ზოგად აკადემიურ პროფილს. ცალკეული კურსებისა და კურსების ჯგუფების სწავლის შედეგები დაკავშირებულია სწავლის სფეროს მოსალოდნელ შედეგებთან. სწავლის შედეგები შეესაბამება მიმდინარე ცოდნას და ადეკვატურია დარგის კურსდამთავრებულთათვის, მოსალოდნელი პროფესიული საქმიანობის სფეროებისთვის. უფრო მეტიც, ისინი მიღწევადია და იძლევა მათი გადამოწმების საშუალებას, მით უმეტეს, რომ საგანმანათლებლო კონცეფცია ითვალისწინებს გადამოწმების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება No 69/5 (2019 წლის 10 აპრილი) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“
- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა
- სტუ- ს აკადემიური საბჭოს დადგენილების No 01- 05- 04/261 (2019 წლის 23 სექტემბერი) დანართი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მომზადების, შეფასების და შემუშავების პროცედურების შესახებ;
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	√	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ- მ განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას,

შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დეტალურად აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ ოთხ ეტაპს, ესენია:

- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება;
- სასწავლო გეგმის ანალიზი (რუკა);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- შეფასების მექანიზმების გამოყენება პროგრამის შემუშავებისთვის.

პროგრამისთვის განსაზღვრულია სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც ასევე განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების ათვისების დონეს. ათვისების მესამე დონე ლოგიკურად მიიღწევა კვლევის კომპონენტით, თუმცა სასწავლო გეგმაში არ არსებობს შესავალი დონისა (1) კურსები/ კომპონენტები, ხოლო ყველაზე დაბალი დონე არის 2. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის სადოქტორო პროგრამა, სასურველია, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი ვითარდებოდეს სამ დონეზე, ამიტომ პროგრამის პერსონალმა უნდა გადახედოს რუკას და განსაზღვროს შესავალი კურსები.

სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ და დარგისთვის, ასევე განათლების დონისთვის, დამახასიათებელი პერიოდულობით. შეფასების პირდაპირი მეთოდები, ასევე მათი შეფასების მახასიათებლები, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შეფასების გეგმაში და ლოგიკურად არის განსაზღვრული. პროგრამის ყველა სწავლის შედეგს აქვს შეფასების კრიტერიუმები, რომელიც შემუშავებულია სტუდენტების შეფასების ჩვეულებრივი განაწილების შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, გამოიყენება სტუდენტების, კურსდამთავრებულების ან დამსაქმებლების გამოკითხვები. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ სემესტრებს და ვინაიდან მე-3, მე-4, მე-5, მე-6 სემესტრებში სტუდენტები არ ფასდებიან პირდაპირი შეფასების მეთოდებით, გამოიყენება შეფასების არაპირდაპირი მეთოდი, კერძოდ, სტუდენტების კვლევით აქტივობებზე დაკვირვება.

ვინაიდან შეფასების არაპირდაპირი მეთოდები უზრუნველყოფს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობას, უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასებაში. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვას.

თუმცა, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა იმის გამო, რომ პროგრამა ცოტა ხნის წინ შეიცვალა და შეფასების ციკლმა დასრულება ვერ მოასწრო. რაც შეეხება აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რომელიც, შეიძლება ითქვას, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განუყოფელი ნაწილია, იგი ყოველ სემესტრში ტარდება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართული პერსონალი იღებს საჭირო მხარდაჭერას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის მუშაობის ოქმებში ასახულია მსჯელობები პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის რუკის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

○ -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- დარწმუნდით, რომ სასწავლო გეგმის რუკაში პროგრამის ყველა სწავლის შედეგი ვითარდება სამ დონეზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	√	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად პროგრამა შემუშავებული იყო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების ციკლს და დოქტორანტურის დონეს. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. სასწავლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას. გარდა ამისა, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები სწორად არის აგებული. პროგრამის სტრუქტურა გამჭვირვალე, ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის სასწავლო და კვლევითი ელემენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული და შინაარსი ლოგიკურად ვითარდება. პროგრამის მინუსი არის ის, რომ იგი ზედმეტად ინტერდისციპლინურია. სწავლის შემდეგ კომპონენტზე ან საფეხურზე დაშვების წინაპირობები

შესაბამისია. პროგრამა ითვალისწინებს კვლევის უახლეს შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. სწავლის კონკრეტული სფეროდან და პროგრამის დონიდან გამომდინარე, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. პროგრამის შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს (აკადემიური/ კვლევითი/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.). უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

ინტერდისციპლინური მიდგომა. მიზეზად თუ რატომ მიისწრაფვის ფაკულტეტი უფრო ინტერდისციპლინური მიდგომებისკენ დასახელდა ის, რომ ის არის ტრენდული და არსებობს უამრავი საერთაშორისო წარმატებული გამოცდილება, რომელიც მოდის დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებიდან. აქ ფაკულტეტმა უნდა განმარტოს, რა არის ამ გადაწყვეტილების საფუძველი. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფს აკვირვებს, რომ უნივერსიტეტი ანიჭებს ხარისხს ზოგადი სახელწოდებით - სოციალური მეცნიერებები. ამას ალბათ მეტი დაზუსტება სჭირდება. დასასრულს ვსაუბრობთ სამეცნიერო წილზე, გამოცემებზე. კვლევასთან დაკავშირებული ისეთი ჟურნალები არსებობს, რომლებიც განსაკუთრებით დისციპლინურია, მაგალითად, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ. და არის უფრო მოქნილი ჟურნალები, რომლებიც დასახელებულია როგორც დარგის კვლევის ჟურნალები. სწორედ ამ უკანასკნელს უწოდებენ ფაკულტეტის წევრები ინტერდისციპლინურს.

ფაკულტეტის მიერ გამოკვეთილი სამეცნიერო საზღვრების დადგენა დაეხმარება როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პერსონალს ეფექტურად მართონ დისერტაციის წარდგენის პროცედურები, მოძებნონ შესაბამისი რეცენზენტები და მეცნიერები, შემფასებლები, რომლებიც ანონიმურად განიხილავენ მათ სტატიებსა და კვლევის შედეგებს. გარდა ამისა, ზუსტი სამეცნიერო სფეროს მითითებით ფაკულტეტის ადმინისტრაცია დაეხმარება სტუდენტებს ზუსტი აკადემიური იდენტობის პოვნაში. იყო სოციოლოგი, ანთროპოლოგი ან ფსიქოლოგი ხელს უწყობს სტუდენტს იპოვოს შესაბამისი დასაქმების შესაძლებლობები და დაამყაროს უწყვეტი თანამშრომლობა როგორც აკადემიაში, ისე მის გარეთ.

პროგრამის ძირითადი სუსტი მხარეებია: 1) ისტორია, რომელიც აყალიბებს „ანგარიშვალდებულებას“ პროგრამის სუსტი მხარეა. ისტორია, რომელიც აყალიბებს ანგარიშვალდებულებას, პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ არის დასახელებული. თუმცა, ანგარიშვალდებულებას უარყოფითი ეფექტი აქვს, როდესაც საქმე ეხება აკადემიური პროდუქტების - დისერტაციების კრიტიკულ შეფასებას. პროგრამის სტრუქტურა, რომელიც უზიძგებს აკადემიური პლურალიზმისკენ. ამჟამინდელი აკადემიური გუნდი ცვლის პროგრამის სტრუქტურას. ისინი უფრო ინტერდისციპლინურობაზე გადადიან. ეს სიტყვა, ინტერდისციპლინურობა, იყო ალბათ ერთ-ერთი საკვანძო სიტყვა ჩვენი ვიზიტის დროს. როგორც ჩანს, ფაკულტეტი ადაპტირდება სოციალურ მეცნიერებათა სფეროში დანერგილ ახალ ტენდენციასთან, რაც ნიშნავს, რომ ერთ პროექტში შეიძლება შერწყმული იყოს ორი ან მეტი დისციპლინურად დაკავშირებული საგანი. რაღაც მსგავსი, რასაც ჩვენ დარგის კვლევებს ვუწოდებთ. თუმცა, გაურკვეველი იყო, რატომ ისწრაფვის ფაკულტეტი ინტერდისციპლინურობისკენ ახლა და რატომ არ ამოქმედდა იგი პროგრამის დასაწყისშივე. 4) პროგრამას ძლიერი კავშირი აქვს გერმანიის დაწესებულებებთან. კერძოდ, "Humbolt"- თან ფილოსოფიის და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში. ამ საერთაშორისო თანამშრომლობაზე მხოლოდ ერთი პროფესორია პასუხისმგებელი. ეს ერთი მაგალითი ადასტურებს, თუ როგორ შეუძლია სოციალური მეცნიერებების ერთ დისციპლინას დაამყაროს საერთაშორისო თანამშრომლობა და შემოიტანოს ინტერდისციპლინურობა, საერთაშორისო

აღიარება და საერთაშორისო პროექტები ფაკულტეტზე. თუმცა, ეს არის ძალიან ვიწრო ქვედისციპლინური სფერო (გერმანული იდეალიზმი), არც თუ ისე წარმომადგენლობითი და არც თუ ისე მომგებიანია როგორც ეკონომიკურად (ფილოსოფია არც ისე პოპულარული სასწავლო სფეროა), ასევე აკადემიურად (ძნელია გამოქვეყნება საერთაშორისო დონეზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განხორციელებული პროგრამის ინტერდისციპლინურობის შეზღუდვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი აკმაყოფილებს დოქტორანტურის მოთხოვნებს და პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში. ამას ადასტურებს სასწავლო გეგმაში სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაცია. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს დოქტორანტურის მოთხოვნებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები) შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების თანაფარდობა ადეკვატურია და მორგებულია კურსის სპეციფიკაზე. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ლექციები და სემინარები) შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) მოიცავს სტუდენტების შეფასების ფორმებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა და სხვა მასალები შეესაბამება სწავლის შედეგებს. ლიტერატურა და სასწავლო მასალა ასახავს როგორც სექტორის/ სფეროს თანამედროვე მიღწევებს, ასევე თეოლოგიაში უახლეს კვლევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამეცნიერო ცოდნის ამჟამინდელ მდგომარეობას და, დიდწილად, ითვალისწინებს უნივერსიტეტში განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობასაც. ის ასევე სწორად არის შერჩეული სასწავლო პროგრამის შემადგენელი ინდივიდუალური კლასებისთვის, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის რეკომენდებული ლიტერატურა ასევე სათანადოდ არის შერჩეული და განახლებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსი)
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით დოქტორანტურაში მიღების მოთხოვნები მკაფიო და ზუსტად განსაზღვრულია. სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაზე სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და აკმაყოფილებს დოქტორანტურაში მიღების მოთხოვნებს სტუ- ში მოქმედი წესის შესაბამისად. სტუდენტთა მიღებისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები: სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევები/ სტატიები და სხვა დოკუმენტები (სერთიფიკატები, ჯილდოები, პატენტები და ა.შ.). კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი კვლევის მიზნისა და მიმართულების მითითებით, ინგლისური ენის ცოდნის საერთაშორისო სერტიფიკატი B2 დონეზე ან ჩაბაროს სტუ- ს მიერ ჩატარებული გამოცდები ინგლისურ ენაში. იმ კანდიდატებს, რომლებმაც მიიღეს დიპლომი ინგლისურენოვან დაწესებულებაში/ უნივერსიტეტში, არ სჭირდებათ სერთიფიკატის წარდგენა ან გამოცდის ჩაბარება. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, კანდიდატი

გადის გასაუბრებას ფაკულტეტის დროებით კომისიასთან. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერთიფიკატები, სამართლებრივი აქტები, პატენტები და ა.შ.). დოქტორანტურაში მიღების წესები და პროცედურები ხელმისაწვდომია სტუ- ს ვებგვერდზე. პროგრამაზე მობილობით მიღება შესაძლებელია განსაზღვრულ ვადაში და სტუ- ს მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე მიღება ან გადმოსვლა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები;
- სტუ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	√	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ- ს სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო კვლევებში. სტუ- ს სადოქტორო დებულების მიხედვით, სტუდენტი პასუხისმგებელია: იმ ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციის თემასთან დაკავშირებულ ძირითად კვლევის შედეგებს (მასალები სამეცნიერო კონფერენციებიდან, სემინარებიდან, ფორუმებიდან, კონგრესებიდან, სიმპოზიუმებიდან), მათ შორის, დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული მინიმუმ სამი სამეცნიერო სტატია, აქედან ერთი თანაავტორ(ებ)ის გარეშე. დადგენილი წესების შესაბამისად, დოქტორანტის მიერ სწავლის დროს გამოქვეყნებული სამი სამეცნიერო სტატიიდან ერთი მაინც უნდა გამოქვეყნდეს Web of Science- ში, Scopus- ში ან სხვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო პუბლიკაციაში. ეს სტანდარტი ძალიან კარგია და ზრდის სამეცნიერო კვლევების ხარისხს. თუმცა, სასურველია შიდა გრანტების სისტემის შექმნა, რათა დოქტორანტებს გაუადვილდეს კვლევის ჩატარება და სათანადო დაფინანსების მოპოვება.

პროგრამის ერთ- ერთი სუსტი მხარეა აკადემიური პერსონალის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევითი პროექტების ნაკლებობა. ბოლო სამი წლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალის უმრავლესობა არ იყო ჩართული რამე სახის კვლევით საქმიანობაში. ეს გულისხმობს იმას, რომ არ არსებობს სტუდენტთა ჩართულობა, არ არსებობს საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო თანამშრომლობა და, რაც მთავარია, არ არსებობს სამეცნიერო პუბლიკაცია Scopus-სა და Web of Science- ში. ეს უკანასკნელი არის ის მიზეზი, რომლის მიღწევასაც ცდილობს ფაკულტეტი ახალი აკადემიური პროგრამის შესაბამისად (მინიმუმ ერთი პუბლიკაცია რეცენზირებულ ჟურნალში). 4) ზოგადად, დოქტორანტისთვის აკადემიური ცხოვრება უკიდურესად რთულია, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს საქართველოში. პუბლიკაცია, როგორც მიზეზი, არარეალურია, როცა უნივერსიტეტი მის ხარჯებს ახალგაზრდა მეცნიერს აკისრებს და ასევე მისგან სწავლის საფასურს ითხოვს. გარდა ამისა, იმ მეცნიერებმა, რომლებსაც აქვთ კვლევის გრანტის მართვის, წარდგენის პროცედურებისა და საერთაშორისო აღიარების გამოცდილება, გზა უნდა გაუხსნან მკვლევართა და მეცნიერთა მთელ ახალ თაობას, რომლებიც, თავის მხრივ, გააგრძელებენ აკადემიურ ტრადიციას. ამ ჯაჭვს აკლია სტაბილურობა ორი ფაქტორის გამო. 1. ადმინისტრაციული საფასური. 2. დარგობრივი ექსპერტების ნაკლებობა, რომლებიც დაეხმარებიან სტუდენტებს კვლევისა და გამოქვეყნების წყაროების მოძიებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავება, რომელიც გაუადვილებს დოქტორანტებს საერთაშორისო პროექტებისა და კვლევითი გრანტების მოპოვებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შიდა გრანტების სისტემის შექმნა, რაც დოქტორანტებს გაუადვილებს კვლევის ჩატარებას და სათანადო დაფინანსების მოპოვებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროგრამაში არსებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და კარგად შეეფერება პროგრამის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. მოცემული სასწავლო დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების შემდეგი აქტივობები, რომლებიც ასახულია შესაბამისი სასწავლო დარგის პროგრამაში: 1. დისკუსია/დებატები; 2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL); 3. შემთხვევის ანალიზი; 4. გონებრივი იერიში; 5. დემონსტრირება; 6. ინდუქცია; 7. დედუქცია; 8. ანალიზი; 9. სინთეზი; 10. ვერბალური ან ზეპირი მეთოდი; 11. წერითი სამუშაო; 12. ახსნა-განმარტებითი მეთოდი; 13. მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; 14. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; 15. სიმულაციები, როლური თამაშები.

ეს აქტივობები ერთმანეთს ავსებს. თავად პროფესორი განსაზღვრავს ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ მეთოდს მიმართოს, კონკრეტული სასწავლო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე. მეცადინეობის უმრავლესობა ტარდება სავარჯიშოებისა და სემინარების სახით, ეს განსაკუთრებით ეხება მეცადინეობებს თითოეული არჩეული სპეციალობის ფარგლებში. სწავლების დროს გამოიყენება სტუდენტთა გააქტიურების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც სასწავლო პროცესში დამოუკიდებლობას და გუნდურ მუშაობას უწყობს ხელს. ინდივიდუალურ კლასებში საგანმანათლებლო შინაარსის განსახორციელებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ხელს

უწყობს სასწავლო პროცესის ადაპტირებას სტუდენტთა მრავალფეროვან ინდივიდუალურ და ჯგუფურ საჭიროებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	√	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, არის გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობის შესაბამისი. პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას სტუდენტის მოსწრება თითოეულ დისციპლინაში ფასდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS) და შეფასების სისტემით, რომელიც

დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესის“ შესახებ.

ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს დოქტორანტების 100- ქულიანი შეფასების სისტემა. მაქსიმალური დადებითი ქულა არის 100, მინიმალური კი 51 ქულა. გარდა ამისა, დადებით შეფასებად ითვლება: A (91- 100), B (81- 90), C (71- 80), D (61- 70), E (51- 60). უარყოფით შეფასებად ითვლება: FX (41- 50), F (40 ან ნაკლები).

შუალედურ შეფასებაში არანაკლებ 30 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება ექნება გავიდეს დასკვნით გამოცდაზე. დასკვნით გამოცდას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა; მისი ჩაბარება სავალდებულო წინაპირობაა დოქტორანტისთვის, რომ საგანი ჩაბარებულად ჩაითვალოს. დოქტორანტს სასწავლო კურსი ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შედეგად დააგროვებს სულ მცირე 51 ქულას.

როგორც აღინიშნა სხვადასხვა გასაუბრებისას, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან/ კურსდამთავრებულებთან, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია დროული უკუკავშირი.

სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი შეფასების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელისა და საგნის პედაგოგებისგან, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ.

აღნიშნულ ელექტრონულ რესურსს აქვს შეტყობინების ფუნქცია, რომლის გამოყენებით სტუდენტს აქვს შესაძლებლობა პირდაპირ დაუკავშირდეს სასწავლო კურსის წამყვანს. სტუდენტი ინფორმირებულია სტუ- ში მოქმედი შეფასების სისტემისა და დებულებების შესახებ.

თუ დოქტორანტი უკმაყოფილოა კონკრეტული საგნის შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შეფასებით, მას შეუძლია გაასაჩივროს შედეგი.

რაც შეეხება დისერტაციის შეფასებას, სასწავლო- კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის მიხედვით, იგი ერთჯერადია და მოიცავს ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას, კერძოდ:

დადებითი შეფასებებია: ა) ფრიადი - შესანიშნავი ნაშრომი - 91- 100 ქულა; ბ) ძალიან კარგი - შედეგი მოთხოვნებს ყველანაირად აღემატება - 81- 90 ქულა; გ) კარგი - შედეგი მოთხოვნებს აღემატება - 71- 80 ქულა; დ) საშუალო - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს - 61- 70 ქულა; ე) დამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად მაინც აკმაყოფილებს მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია: ა) არადამაკმაყოფილებელი - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს - 41- 50 ქულა; ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი - შედეგი, რომელიც სრულად არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს - 40 ქულა და ნაკლები.

გასაუბრების დროს არ გამოვლენილა პრეტენზია შეფასების არსებულ სისტემასთან დაკავშირებით. დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულებისთვის მოცემული შეფასების სქემა მისაღები და გასაგებია. შესაბამისად, აღნიშნული ქვესტანდარტი ფასდება, როგორც: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- ინსტრუქცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის შესახებ;
- სტუ-ს სადოქტორო რეგულაციები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების მეთოდი;
- სტუ-ს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა;
- ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

